ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალი Law

II. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი; Bachelor of Law.

III. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240, სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა 8 სემესტრი.

IV. სწავლების ენა: ქართული

V. სამართლის საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1) ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ ღირებულებათა დამკვიდრების ხელშეწყობა; სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

2) სტუდენტისათვის სამართლებრივი საკითხების ცოდნა-გაცნობიერებისა და მიღებული ცოდნის გამოყენების სწავლება.

3) სტუდენტი დაეუფლოს იურისტის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ მეთოდებს და შეიძონოს სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი; მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კომუნიკაციისა და სწავლების უნარი;

4) სტუდენტს გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

5) სტუდენტს, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი ასპექტების გარდა, ეძლევა შესაძლებლობა შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა და მოახდინოს საგნების კონცენტრაცია ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით: კონსტიტუციური სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი ან კერძო სამართალი. სტუდენტს უფლება აქვს, და მიზანშეწონილიცაა, განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნების კონცენტრაციით, მაგალითად, კერძო სამართალში ადმინისტრაციული სამართლის ელემენტებით ან სისხლის სამართალში საერთაშორისო სამართლის ელემენტებით. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ასევე დაეუფლოს სამართლის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და ეკონომიკურ ასპექტებს. სტუდენტს შეუძლია, საკუთარი სურვილისამებრ ისწავლოს არაიურიდიული დისციპლინებიც, რომლებიც მას ხელს უწყობს, გაიღრმავოს ცოდნა ცალკეულ დარგში, და, ამავე დროს, დარწმუნდეს თავისი პროფესიის არჩევანის სისწორეში.

6) საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. ამავე დროს, იგი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით,

რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევრის მომზადებაზე.

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სამართლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

VII. სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი ზოგადი და

დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ფართო, ხოლო სპეციალიზაციის სფეროს (საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის) სიღრმისეული ცოდნა, რაც აისახება ქვედარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

კურსდამთავრებულმა იცის: სამართლის ცნება და ფუნქციები, თეორიები, ძირითადი პრინციპები, სამართლის ნორმის სტრუქტურა და სახეები, განმარტების მეთოდები, სამართლის შეფარდება, სამართლის ენა და სამართლის სისტემები; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ძველი ქართული სამართლის ცალკეული დარგები და ინსტიტუტები. სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები; კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (პირები, გარიგებები, ვადები). სანივთო (ქონებრივი) სამართალი (ქონება, მფლობელობა, საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები); ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი დებულებანი, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები); საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი; შრომის სამართალი (შრომითი და თანმდევი ურთიერთობები); საკორპორაციო სამართალი (პირთა და კაპიტალის გაერთიანების სამართლებრივი ფორმები); ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები, ადმინისტრაციული ურთიერთობის სუბიექტები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და მათი განხორციელების წესები; სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები, პრინციპები და ინსტიტუტები, ცალკეული დანაშაულები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების პრინციპები, საქმისწარმოების თავისებურებანი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში;

ამას გარდა კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს შეისწავლოს სპეციალიზაციის საგნები:

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მიმართულებით – რომის სამართალი, სამართლის ისტორია, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, ქართული საეკლესიო სამართალი, ისლამური სამართალი; კაზუსის განხილვის მეთოდიკა, იმიტირებული სასამართლო პროცესი, საკანონმდებლო ტექნიკა.

კერძო სამართლის მიმართულებით – სახელშეკრულებო სამართლის გაღრმავება, გაკოტრების სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები (არბიტრაჟი, მედიაცია), ფასიანი ქაღალდების სამართალი, მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი, სამრეწველო საკუთრების სამართალი, საავტორო სამართალი, შედარებითი კერძო სამართალი;

საჯარო სამართლის მიმართულებით – საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, საარჩევნო სამართალი, ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი, სამოხელეო სამართალი, კონსტიტუციური მართლმსაჯულება, საგადასახადო სამართალი, ეკოლოგიური სამართალი;

საერთაშორისო სამართლის მიმართულებით – საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ევროპის სამართალი, დიპლომატიური სამართალი, საკონსულო სამართალი, საერთაშორისო საზღვაო სამართალი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, საერთაშორისო საჰაერო სამართალი, საერთაშორისო სანაოსნო სამართალი, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი;

სისხლის სამართლის მიმართულებით – სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის გაღრმავება, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა, საერთაშორისო სისხლის სამართალი, დანაშაულის კვალიფიკაცია, მტკიცებითი სამართალი, სასჯელაღსრულებითი სამართალი;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შესწევს უნარი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის.

აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.

შეუძლია დამოუკიდებლად ან/და მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, წესდების, საჩივრის, სარჩელის, ესსეს და ა.შ.) შედგენა.

დასკვნის უნარი

აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.

გააჩნია სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შეგროვების, განმარტების, ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

აქვს ინფორმაციის მშობლიურ და არანაკლებ ერთ უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობით ფორმით, ანგარიშის მომზადებისა და ინფორმაციის გადაცემის უნარი. ასევე შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

სწავლის უნარი

აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნების უნარი. შეუძლია დაადგინოს ინფორმაციის წყაროები (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია. შესწევს ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავებისა და მუდმივი განახლების უნარი.

ღირებულებები

იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს ზოგადსამართლებრივ ღირებულებებს და იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

VIII. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**.
2. **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
3. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. **წიგნზე მუშაობის მეთოდი.**
5. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
6. **თანამშრომლობითი** (cooperative) **სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
7. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

8. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
9. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

10. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
11. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
12. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის

მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

13. **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
14. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
15. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

IX. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A

81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში

X. პროგრამის სტრუქტურა. (იხ. დანართი)

XI. პროგრამაში მონაწილე ლექტორები, იურიდიულ ფაკულტეტზე: ძირითადი შტატის 71 პროფესორი (მათ შორის 13 სრული პროფესორი, 15-ასოცირებული პროფესორი, 43 ასისტენტ-პროფესორი) და 118 მოწვეული პროფესორია პროგრამის განხორციელებაში ჩართული.

XII. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:სასწავლო ფართი 2500 $მ^2$-ზე მეტი (აუდიტორიები, საპროფესოროები, *ბიბლიოთეკა – მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში (16703 ეგზემპლარი*: მათ შორის – სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები (12005 ეგზემპლარი), ასევე, ჟურნალები, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა ლიტერატურა, ელექტრონული რესურსები); 130 კომპიუტერი.

XIV. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: საბაკალავრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი, საიდანაც იურიდიული ფაკულტეტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 2736784 ლარს.

დანართი 1

პროგრამის სტრუქტურა.

სასწავლო გეგმა:

1) საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება სავალდებულო იურიდიული საგნების („ა“), სამართლის მეთოდების („ბ“), სპეციალიზაციის საგნების („გ“), უცხოური ენისა და თავისუფალი არჩევითი დისციპლინებისაგან („დ“) შემდგარი სასწავლო მოდულებისაგან.

2) მოდულში გაერთიანებული საგნები ურთიერთკავშირშია და შესაძლებელია, ცალკეული გამოცდის ჩაბარება იყოს სხვა საგნის მოსმენის წინაპირობა.

3) პროგრამის წარმატებით დაძლევისათვის სავალდებულო 240 კრედიტის მოდულების ჯგუფებს შორის განაწილების სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

საბაკალავრო პროგრამის ელემენტები – 240 კრედიტი		
სავალდებულო საბაზისო მოდულები („ა“) 109 კრედიტი	სამართლის საფუძვლები და მეთოდები („ბ“), თავისუფალი არჩევითი დისციპლინები, უცხოური ენა („დ“) **57** (9) (24) (24) კრედიტი	სპეციალიზაციის მოდულები (არჩევითი საგნები და რეპეტიტორიუმი) („გ“) 74 კრედიტი

1. სავალდებულო საბაზისო მოდულები

1.1 კერძო სამართალი (სავალდებულო 47 კრედიტი)

მოდულის დასახელება	**საგნები**	**კრედიტების შესაძლო რაოდენობა**	**ლექცია/ სამუშაო ჯგ.**	**სწავლების სემესტრი/ წინაპირობა**
კერძო სამართ. I	1.1.1 შესავალი სამოქალაქო სამართალში 1.1.2 ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი 1.1.3 სახელშეკრულებო სამართალი	**6** **5** **5**	**2/2** **2/2** **2/1** **2/2** **2/1**	**1/-** **2/1.1.1** **3/1.1.2**
კერძო სამართ. II	1.1.4 სანივთო სამართალი 1.1.5 კანონისმიერი ვალდებულებითი	**5**	**2/1** **2/2**	**2/1.1.1**

	ურთიერთობები 1.1.6 საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	5 5	2/1 2/2 2/1	3/1.1.2 4/1.1.2
კერძო სამართ. III	1.1.7 შრომის სამართალი 1.1.8 საკორპორაციო სამართალი	5 5	1/1 2/1 2/1 2/2	5/1.1.3 5/1.1.3
კერძო სამართ. IV	1.1.9 სამოქალაქო სამართლის პროცესი	6	2/2 2/1	4/1.1.3

1.2 საჯარო სამართალი (სავალდებულო 29 კრედიტი)

მოდულის დასახელება	**საგნები**	**კრედიტების შესაძლო რაოდენობა**	**ლექცია/ სემინარი**	**სწავლების სემესტრი/ წინაპირობა**
საჯარო სამართ. I	1.2.1 კონსტიტუციური (სახელმწიფოს მოწყობის) სამართალი 1.2.2 ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	6 6	2/2 1/2 2/2	1/- 2/1.2.1
საჯარო სამართ. II	1.2.3 ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	6	1/2 2/2	3/1.2.1

	1.2.4 ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	6	2/1 2/2	5/1.2.3; 1.1.9
საჯარო სამართ. III	1.2.5 საერთაშორისო საჯარო სამართალი I	5	2/1 2/2	4/1.2.2

1.3 სისხლის სამართალი (სავალდებულო 24 კრედიტი)

მოდულის დასახელება	**საგნები**	**კრედიტების შესაძლო რაოდენობა**	**ლექცია/ სემინარი**	**სწავლების სემესტრი/ წინაპირობა**
სისხლის სამართ. I	1.3.1 სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი	6	2/2 3/2	2/-
სისხლის სამართ. II	1.3.2 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანის წინააღმდეგ მიმარ-თული დანაშაული) 1.3.3 სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II (დანაშაულის სხვა სახეები)	6 6	2/1 2/2 2/1 2/2	3/1.3.1 4/1.3.2
სისხლის სამართ. III	1.3.4 სისხლის სამართლის პროცესი	6	2/2 3/2	5/1.3.3

1.4 სამართლის საფუძვლები და მეთოდები (სავალდებულო 9 კრედიტი)

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულების ჯგუფიდან სავალდებულოა საფუძვლები I საგნები.

მოდულის დასახელება	**საგნები**	**კრედიტების შესაძლო რაოდენობა**	**ლექცია/ სემინარი**	**სწავლების სემესტრი/ წინაპირობა**

საფუძვლ. I	1.4.1 შესავალი სამართალ-მცოდნეობაში 1.4.2 ქართული სამართლის ისტორია	4 5	1/1 1/2 2/1 2/2	1/- 1/-

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულების ჯგუფიდან სტუდენტმა დამატებით უნდა დააგროვოს მინიმუმ 9 კრედიტი არჩევით საგნებში.

მოდულის დასახელება	**საგნები**	**კრედიტების შესაძლო რაოდენობა**	**ლექცია/ სემინარი**	**სწავლების სემესტრი/ წინაპირობა**
საფუძვლ. II	1.4.3 სამართლის მეთოდები (იმიტირებული სასამართლო პროცესი) 1.4.4 კაზუსის განხილვის მეთოდიკა 1.4.5 საკანონმდებლო ტექნიკა	4 4 4	2/0 1/1 1/0 2/0 1/0 2/0	1/- 5/-
საფუძვლ. III	1.4.6 საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია 1.4.7 რომის სამართლის საფუძვლები 1.4.8 შესავალი	6 5	2/2 2/2	1/- 1/-

	სამართლის ფილოსოფიაში	6	2/2	2/-
	1.4.9 საეკლესიო სამართალი	4	2/1	2/1.4.2
	1.4.10 ქართული ჩვეულებითი სამართალი	4	2/1	2/1.4.2
	1.4.11 ისლამური სამართალი	4	2/2	2/-

1.5 უცხო ენის მოდული (არაუმეტეს 24 კრედიტი)

I. უცხოური ენის (ენების) შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 16-სა (ერთ რომელიმე უცხო ენაში) და არაუმეტეს 24 კრედიტის მოცულობით, 4 სემესტრის მანძილზე. სწავლების შედეგი გამოიხატება უცხოურ ენაზე სპეციალიზაციის მიხედვით მინიმუმ 1 საგნის ჩაბარებით.

II. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე უცხოური ენის კომპონენტის დაძლევა ხდება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა წარადგინოს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

ბ) სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური ენა, უნდა წარმოადგინოს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი სერტიფიკატი:

ტოიფელი (TOEFL PBT)	ტოიფელი (TOEFL IBT)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)
ქულათა ოდენობა:	ქულათა ოდენობა:	ქულათა ოდენობა:	ცოდნის დონე:

არანაკლებ 513 ქულა	არანაკლებ 65 ქულა	არანაკლებ 5,5 ქულა	არანაკლებ FCE

გ) სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხოური ენა, გარდა ინგლისურისა, უნდა წარმოადგინოს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი სერტიფიკატი:

ტოიფელი (TOEFL PBT)	ტოიფელი (TOEFL IBT)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)
ქულათა ოდენობა: არანაკლებ 437 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 41 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 4,0 ქულა	ცოდნის დონე: არანაკლებ PET

დ) „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სერტიფიკატების შესატყვის დონეზე უცხოური ენის ცოდნის დადასტურების მიზნით სტუდენტი უფლებამოსილია ჩააბაროს:

დ.ა) სსიპ – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის სასერტიფიკაციო გამოცდა;

დ.ბ) შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინგლისური ენის სასერტიფიკაციო გამოცდა, რომელსაც ამ საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილება უდასტურდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით;

ე) უცხო ენის მოდულის II პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე 2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე ჩარიცხულ სტუდენტებზე.

III. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე 2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–15 პუნქტით გათვალისწინებულ ინგლისური ენის სერთიფიკატს (ან მის ექვივალენტურ სხვა უცხო ენის სერთიფიკატს – თსუ უცხო ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე) თავისუფლდებიან უცხო ენის სავალდებულო მოდულისგან და უფლებამოსილნი არიან ამ მოდულისათვის გათვალისწინებული კრედიტები შეავსონ თავისუფალი არჩევანის საფუძველზე.

1.6 თავისუფალი არჩევითი დისციპლინები (24 კრედიტი)

არაიურიდიულ დისციპლინებში დასაშვებია არაუმეტეს 24 კრედიტის დაგროვება. სტუდენტის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შესაძლებელია ამ მოდულით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა შეივსოს სპეციალიზაციის მოდულიდან.

2. სპეციალიზაციის მოდულები (სავალდებულო 74 კრედიტი)

სპეციალიზაციით სწავლების მოდულებიდან სავალდებულო 74 კრედიტის დაგროვება ემყარება სტუდენტის თავისუფალ არჩევანს ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით:

2.1 კერძო სამართალი

2.1.1 სახელშეკრულებო და საერთაშორისო კერძო სამართალი

მოდულის დასახელება	საგნები	კრედიტების შესაძლო რაოდენობა	ლექცია/ სემინარი	სწავლების სემესტრი/ წინაპირობა
კერძო სამართლის სპეციალი-ზაცია. I	2.1.1.1 სახელშეკრულებო სამართლის გაღრმავება	6	2/2 2/0	6/1.1
	2.1.1.2 გაკოტრების სამართალი	5	2/0	6/1.1
	2.1.1.3 საერთაშორისო კერძო სამართალი	6	2/2 2/0	7/1.1
	2.1.1.5 მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	5	2/0	8/1.1

2.1.2 საფინანსო მომსახურების სამართალი

მოდულის დასახელება	საგნები	კრედიტების შესაძლო რაოდენობა	ლექცია/ სემინარი	სწავლების სემესტრი/ წინაპირობა
კერძო სამართლის სპეციალი-	2.1.2.1 დაზღვევის			

ზაცია. II	სამართალი 2.1.2.2 ფასიანი ქაღალდების სამართალი 2.1.2.3 მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	4 4 5	2/1 2/0 2/0 2/0	6/1.1 7/1.1 7/1.1

2.1.3 ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

მოდულის დასახელება	საგნები	კრედიტების შესაძლო რაოდენობა	ლექცია/ სემინარი	სწავლების სემესტრი/ წინაპირობა
კერძო სამართლის სპეციალი-ზაცია. III	2.1.3.1 სამრეწველო საკუთრების სამართალი 2.1.3.2 საავტორო სამართალი	5 4	2/2 2/0 2/0	7/1.1 8/2.1.3.1

2.1.4 კერძო სამართლის ისტორია და შედარებითი კერძო სამართალი

მოდულის დასახელება	საგნები	კრედიტების შესაძლო რაოდენობა	ლექცია/ სემინარი	სწავლების სემესტრი/ წინაპირობა
კერძო სამართლის სპეციალი-	2.1.4.1 შედარებითი კერძო სამართალი	4	2/0	6/1.1

ზაცია. IV	2.1.4.2 რომის კერძო სამართალი	5	2/2	7/1.1

2.2 საჯარო სამართალი

2.2.1 კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი

მოდულის დასახელება	საგნები	კრედიტების შესაძლო რაოდენობა	ლექცია/ სემინარი	სწავლების სემესტრი/ წინაპირობა
კონსტიტუ-ციური და ადმინისტრა-ციული სამართლის სპეციალი-ზაცია. I	2.2.1.1 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	6	2/2 2/0	6/1.2
	2.2.1.2 საარჩევნო სამართალი	5	2/0	6/1.2
	2.2.1.3 ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	5	2/0	7/1.2
	2.2.1.4 სამოხელეო სამართალი	4	2/0	7/1.2
	2.2.1.5 კონსტიტუციო მართლმსაჯულება	5	2/0	7/1.2
	2.2.1.6 მართლწესრიგის სამართალი	5	2/0 2/2	7/1.2
	2.2.1.7 საგადასახადო სამართალი	6	2/2 2/0	7/1.2
	2.2.1.8 ეკოლოგიური			

	სამართალი	5	2/0	8/1.2

2.2.2 საერთაშორისო სამართალი

მოდულის დასახელება	საგნები	კრედიტების შესაძლო რაოდენობა	ლექცია/ სემინარი	სწავლების სემესტრი/ წინაპირობა
სამართლის სპეციალი-ზაცია. I	2.2.2.1 საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი	5	2/0	6/1.2.5
	2.2.2.2 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	5	2/0	7/1.2.5
	2.2.2.3 ევროპის სამართალი	5	2/0	7/1.2.5
	2.2.2.4 დიპლომატიური სამართალი	5	2/1	7/1.2.5
	2.2.2.5 საკონსულო სამართალი	5	2/2 2/1	8/1.2.5
	2.2.2.6 საერთაშორისო საზღვაო სამართალი	5	2/2 2/1 2/2	8/1.2.5
	2.2.2.7 საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	5	2/1	8/1.2.5
	2.2.2.8 საერთაშორისო საჰაერო სამართალი		2/2	8/1.2.5
	2.2.2.9 საერთაშორისო სანაოსნო სამართალი	5	2/0	

	2.2.2.10 ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი	5 5	2/0 2/0 2/2	8/1.2.5 8/1.2.5

2.2.3 სისხლის სამართალი

მოდულის დასახელება	საგნები	კრედიტების შესაძლო რაოდენობა	ლექცია/ სემინარი	სწავლების სემესტრი/ წინაპირობა
სისხლის სამართლის სპეციალი-ზაცია. I	2.2.3.1 მტკიცებითი სამართალი	5	2/0 2/0	6/1.3.4
	2.2.3.2 კრიმინოლოგია	5	2/2 2/0	6/1.3.4
	2.2.3.3 დანაშაულის კვალიფიკაცია	4	2/0	7/1.3.4
	2.2.3.4 საერთაშორისო სისხლის სამართალი	5	2/1 2/0	7/1.3.4
	2.2.3.5 სასჯელაღსრულებითი სამართალი	5	2/1 2/0	8/1.3.4

	2.2.3.6 კრიმინალისტიკა 2.2.3.7 სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის გაღრმავება	**6** 4	**2/2** **2/1** 2/0	**8/1.3.4** **7/1.3.4**

სტუდენტს უფლება აქვს, და მიზანშეწონილიცაა, მოახდინოს სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნების კომპილირება, მაგალითად, გააკეთოს სპეციალიზაცია კერძო სამართალში ადმინისტრაციული სამართლის ელემენტებით ან სისხლის სამართალში საერთაშორისო სამართლის ელემენტებით.

სპეციალიზაციის საგნების ჩამონათვალი არაა ამომწურავი. შესაძლოა ცალკეული საგნები სტუდენტმა გაიაროს სხვა (ანუ არარეკომენდებულ) სემესტრში წინაპირობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაცვით.

სპეციალიზაციის მოდულის სავალდებულო შემადგენელი ნაწილია რეპეტიტორიუმი (10-12 კრედიტი). სტუდენტი VII/VIII სემესტრიდან ვალდებულია გაიაროს რეპეტიტორიუმი ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით:

ა) კერძო სამართალი;

ბ) საჯარო სამართალი (კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი);

გ) სისხლის სამართალი;

რეპეტიტორიუმის მოდულის მოთხოვნა ძალაში შევა 2013-2014 სასწავლო წლიდან.

სწავლის შედეგების რუკა:

შედეგი / შაგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
შესავალი სამოქალაქო სამართალში	X	X	X			X
ვალდებულებითი სამართალი	X	X				
სახელშეკრულებო სამართალი	X		X	X	X	X

სანივთო სამართალი	X	X		X		X
კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	X	X				
საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	X	X	X	X		X
შრომის სამართალი	X	X	X	X		
საკორპორაციო სამართალი	X	X	X	X		X
სამოქალაქო სამართლის პროცესი	X	X				
კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი	X	X	X	X	X	X
ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	X	X	X	X	X	X
ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	X	X	X	X	X	X
ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	X	X	X	X	X	X
საერთაშორისო საჯარო სამართალი	X	X				
სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი	X	X	X	X	X	X
სისხლის სამართალის კერძო ნაწილი I	X	X	X	X	X	X
სისხლის სამართალის კერძო ნაწილი II	X	X	X	X	X	X
სისხლის სამართლის პროცესი	X	X	X	X		X
შესავალი სამართალმცოდნეობაში	X		X	X	X	X
ქართული სამართლის ისტორია	X	X	X			X
სამართლის მეთოდები (იმიტირებული სასამართლო პროცესი)	X		X		X	X
საკანონმდებლო ტექნიკა	X	X	X			
საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	X	X	X	X		X
რომის სამართლის საფუძვლები	X	X	X	X		X
შესავალი	X	X	X	X		X

სამართლის ფილოსოფიაში						
საეკლესიო სამართალი	X	X	X	X		X
ქართული ჩვეულებითი სამართალი	X	X	X			X
ისლამური სამართალი	X		X			X
სახელშეკრულებო სამართლის გაღრმავება	X	X	X	X		X
გაკოტრების სამართალი	X	X	X			
საერთაშორისო კერძო სამართალი	X	X				
მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	X	X				
დაზღვევის სამართალი	X	X				
ფასიანი ქაღალდების სამართალი	X	X	X	X		X
მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	X	X	X	X		X
სამრეწველო საკუთრების სამართალი	X	X	X			
საავტორო სამართალი	X	X	X			
შედარებითი კერძო სამართალი	X	X				
რომის კერძო სამართალი	X	X	X	X		X
საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	X		X	X		
საარჩევნო სამართალი	X	X	X		X	X
ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	X	X	X		X	X
სამოხელეო სამართალი	X	X			X	
შედარებითი საკონსტიტუციო სამართალი	X	X	X	X	X	X
მართლწესრიგის სამართალი	X	X	X	X	X	X
საგადასახადო სამართალი	X	X	X			
საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი	X	X	X		X	
საერთაშორისო სახელშეკრულებო		X	X			

სამართალი						
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი		X	X			
ევროპის სამართალი	X	X	X	X	X	
დიპლომატიური სამართალი	X	X		X		
საკონსულო სამართალი	X	X				
საერთაშორისო საზღვაო სამართალი	X	X				
საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	X				X	
საერთაშორისო საჰაერო სამართალი		X	X	X	X	X
საერთაშორისო სანაოსნო სამართალი	X	X				
ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი	X	X	X			
კრიმინოლოგია	X	X	X	X		X
დანაშაულის კვალიფიკაცია	X	X	X	X	X	X
საერთაშორისო სისხლის სამართალი	X	X	X			
სასჯელაღსრულებითი სამართალი	X	X	X	X		X
კრიმინალისტიკა	X	X	X			X
სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის გაღრმავება	X	X	X			X
რეპეტიტორიუმი	X	X	X	X		

XIV. პროგრამის ხელმძღვანელი: იურიდიული ფაკულტეტის საბჭო; პროგრამის კოორდინატორი: თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ირაკლი ბურდული.

საგნების სილაბუსები: (იხ. დანართი 2)